

ქეთევან ჯაფარიძე

ფრანგული  
და  
ქართული  
ენების  
უპირისპირებითი  
ტიპოლოგია

Lingua  
Plus

# ენათა შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლის ამოცანები და მეთოდები

(ლექცია № 1)

შედარებითი ტიპოლოგია - ენათმეცნიერების ნაწილია, რომელიც შეისწავლის ენებს სხვა ენებთან შეპირისპირებით, რათა დადგინდეს ის თავისებურებანი, რაც მათ ახასიათებთ, ასევე ის მსგავსებები და განსხვავებანი, რაც მათ შორის არსებობს.

შედარება ან შეპირისპირება, ენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. შესწავლის ობიექტისა და მიზნის მიხედვით გამოიყოფა ენათმეცნიერების სხვადასხვა სფეროები:

1. შედარებით ან შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება-მიზნად ისახავს ენათა ნათესაობის ხარისხის დადგენას, ენათა წარმოშობის ერთობლიობას. მისი საბოლოო მიზანია ძირეული ენის აღდგენა, რომლისაგანაც წარმოიშვა შესასწავლი ენები და იმ კანონების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც მოხდა მათი განვითარება. ამ ენათმეცნიერების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მონათესავე ენები, როგორც ახლო მონათესავე (მაგ, ფრანგული და ესპანური, რუსული და პოლონური), ასევე ნაკლებად მონათესავე ენე ბი.

2. არეალური ენათმეცნიერება-აპირისპირებს ენებს მათი ნათესაობრივი კავშირის მიუხედავად იმ მიზნით, რომ განსაზღვროს მათში საერთო ელემენტები, რომლებიც წარმოიქმნება მათი ურთიერთქმედების შედეგად და მათზე მესამე ენის გავლენას განიცდიან. ასეთი შესწავლის ობიექტად გამოდგება ნასესხები ელემენტები, ენობრივი კონტაქტები. არეალური ლინგვისტიკა იკვლევს ენათა მეორად ნათესაობას, რომელიც წარმოიქმნება ექსტრალინგვისტური ფაქტორების მოქმედების შედეგად.

3. შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ენათმეცნიერება-სწავლობს ენებს მათი ნათესაობის მიუხედავად მათ სტრუქტურებში მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად, ერთი და იგივე მნიშვნელობის გამოხატვის ხერხებს. ტიპოლოგიური მსგავსება, არაა დაკავშირებული უშუალოდ ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე. მისი კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს არამონათესავე ენები (ფრანგული და იაპონური), შერეული ნათესაობის მქონე (ფრანგული და რუსული), ახლომონათესავე (ფრანგული და ესპანური), ერთი ენის ვარიანტები (ფრანგული კანადაში და ფრანგული საფრანგეთში), ერთი ენის სხვადასხვა ისტორიული ეტაპები (თანამედროვე და ძველი ფრანგული). შეპირისპირებით-თი (შედარებითი) ტიპოლოგია აერთიანებს ორ მიმართულებას ენათა კვლევაში:

შეპირისპირებითს და ტიპოლოგიურს. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (linguistique contrastive, différentielle) აღარებს ორ ენას მათი ნათესაური კავშირის მიუხედავად, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენის მიზნით. ტიპოლოგიური ლინგვისტიკა, მიზნად ისახავს უფრო ფართო ამოცანებს. იგი სწავლობს ენათა სპეციფიკას იმ ზოგადის ფონზე, რომელიც ახასიათებს ენებს საერთოდ. ის ზოგადი თვისებები (ნიშნები), რომლებიც ყველა ენას აქვს, უნივერსალიებად იწოდება (les universaux du langage).

ტიპოლოგია-ეს საგანთა კლასიფიკაციაა ან ანალიზი მათი ნიშნების ერთიანობით. განსახილველ ენათა რაოდენობის მიხედვით ანსხვავებენ: უნივერსალურ და სპეციალურ ტიპოლოგიას. უნივერსალური მოიცავს ყველა ენას. სპეციალური იხილავს კონკრეტულ ენებს (უფრო ხშირად ორს). განსახილველი მასალის მოცულობის მიხედვით ანსხვავებენ ზოგად და კერძო ტიპოლოგიას. ზოგადი ტიპოლოგია შეისწავლის ენის ყველაზე ზოგად თვისებებს ენათა წყობაში. კერძო ტიპოლოგია ეხება ენობრივი სტრუქტურის ცალკეულ მხარეებს ან ელემენტებს. კვლევის მიზნის მიხედვით ანსხვავებენ კლასიფიკაციურ და სახასიათო ტიპოლოგიას. კლასიფიკაციური ტიპოლოგიის მიზანია, ენაში ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შექმნა, მათი ტიპოლოგიური დაჯგუფებებისა და მიმართებების გამოვლინება. სახასიათო ტიპოლოგია მიიღტვის გამოავლინოს მოცემული ენის სპეციფიკური თავისებურებანი. განსხვავების ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ თვისობრივ და რიცხობრივ ტიპოლოგიას. ა)თვისობრივი განსხვავების დროს გამონათქვამის მოცემული ტიპი არ არსებობს შესაძარებელ ენაში (მაგ. არტიკლი). ბ)რაოდენობრივი განსხვავების დროს მოცემული კატეგორია ორივე ენაში არსებობს, მაგრამ ერთში იგი უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე მეორეში. მაგალითად: სქესი ფრანგულსა და რუსულში. ანალიზის დონის მიხედვით, ანსხვავებენ სტრუქტურულ და ფუნქციურ ტიპოლოგიას. სტრუქტურული, შეისწავლის ენობრივი გამონათქვამების ტიპებს. ფუნქციური ტიპოლოგია შეისწავლის იმ კანონზომიერებებს, რომელთა მიხედვითაც ეს ტიპები გამოიყენება მეტყველებაში. მას ძირითადად რაოდენობრივი ხასიათი აქვს. კვლევის მიმართულების მიხედვით ანსხვავებენ სემასიოლოგიურ და ონომასიოლოგიურ ტიპოლოგიას. სემასიოლოგიური ტიპოლოგია განიხილავს შესაპირისპირებელ ფაქტებს ენობრივი ფორმებიდან მათ მნიშვნელობამდე და ფუნქციამდე. ონომასიოლოგიური ტიპოლოგია აწარმოებს შეპირისპირებას მნიშვნელობიდან და ფუნქციიდან მათ ფორმებამდე. შეპირისპირება ტექსტის დონეზე ხდება.

ყოველი ენა ხასიათდება განსაზღვრული სისტემით, (სტრუქტურით), მათი ნორმატიული რეალიზაციითა და რეალიზაციით მეტყველებაში (უზუსი). ენის სისტემა - ესაა მისი ელემენტების ერთობლიობა და ურთიერთ მიმართება ამ ელემენტებს შორის. ენობრივი ნორმა-ესაა კონკრეტული, ჩვევებით

განმტკიცებული აღსანიშნის ფორმათა ერთობლიობა. რომ სწორედ ვიმეტყველოთ ამა თუ იმ ენაზე, არაა საკმარისი მხოლოდ მისი სიტყვებისა და ფორმების ცოდნა. უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენება ეს სიტყვები და ფორმები გარკვეულ კონტექსტებსა და სიტუაციებში. კანონზომიერებათა ერთობლიობა, რომლითაც მოლაპარაკე ახდენს გამოხატვის სინონიმურ საშუალებათა შორის ენობრივი “ჩვევების” შერჩევას, ქმნის მეტყველების ნორმას ანუ უზუსს. ენის ნორმისაგან უზუსი იმით განსხვავდება, რომ მისი დარღვევით ენობრივ შეცდომამდე არ მივდივართ. იგი ქმნის გარკვეულ აქცენტს, წინადადება სწორი იქნება, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც გამოიყენება და ენის მატარებელი. მაგალითად: Rue de Rennes, s’il vous plaît? ანდა -ხომ ვერ მეტყვით, სად არის ს. ჩიქოვანის ქუჩა?